21/03/2021

მიტროპოლიტი სტეფანე ჭყონდიდის ეპარქიაში “პატრიოტთა ალიანსის” ლიდერებსა და პარტაქტივს 200 პერსონაზე გაწყობილი სუფრით მასპინძლობს

დღეს, 2021 წლის 21 მარტს, დიდი მარხვის პირველ კვირას, როდესაც მართლმადიდებლობის ზეიმი აღინიშნება, მიტროპოლიტმა სტეფანემ ჭყონდიდში ზეიმი მოიწყო – მეუფე მასპინძლობს “პატრიოტთა ალიანსის” ლიდერებსა და საგანგებოდ ჩასულ პარტაქტივს. პანდემიის პირობებში ეპარქიის რეზიდენციაში ორას პერსონაზე გაწყობილია სუფრა. ადგილზე იმყოფება რამდენიმე მღვდელმთავარიც.

სუფრაზე ნათლად სჩანს თევზის ასორტი. დიდი მარხვის ტიპიკონი კი ერთმნიშვნელოვნად და მკაცრად განაჩინებს დიდ მარხვაში თევზის მიღებას მხოლოდ ხარებისა და ბზობის დღესასწაულებზე და ლაზარეს შაბათს.

— facebook.com/msofliosaeklesiosiaxleni